

26/04/2024



MES 3 24 0000476447

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 12.04.2024

სხდომის დაწყების დრო: 14:00

სხდომის დასრულების დრო: 15:30

საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე (I საკითხი),

სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე (II საკითხი)

სხდომის მდივანი: ციური დურული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომი-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. თამარ ლომინაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
- 2. გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- 3. გიორგი დაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- 4. ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
- 5. აკაკი ხელაძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
- 6. ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
- 7. თამარ ტუფინაშვილი** - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აკადემიური მიმართულების ხელმძღვანელი;
- 8. დიმიტრი ჯაფარიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;

9. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

10. ვასილ კვიციანი - შპს "ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;

11. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

12. ქეთევან ნანობაშვილი - შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

13. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

14. გიორგი მირიანაშვილი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

15. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები (სახელი, გვარი, პოზიცია)

გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები (დაწესებულება, სახელი, გვარი, პოზიცია)

ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი:

1. თამარ ჩხეიძე - ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი;
2. ქრისტინე ჩიხლაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. ეკატერინე ყაზარაშვილი - სასწავლო დეპარტამენტი;
4. მარი ბოკუჩავა - სასწავლო დეპარტამენტი;
6. თეონა რუხაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
7. გიორგი დონაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
8. გოჩა ბიძინაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

დავით მახვილაძე - სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

ხათუნა მხეიძე - სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე.

თალიკო ჟვანია - სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი.

თინათინ კაიშაური - სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, „ინფორმატიკის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

ლილი პეტრიაშვილი, გაია სურგულაძე და ნუგზარ ამილახვარი - „ინფორმატიკის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები.

აკრედიტაციის ექსპერტები

თამარ ძველია - I საკითხი

რუსუდან თაყაიშვილი - I საკითხი

ირმა ქურდაძე - I საკითხი

ია ბუცხრიკიძე - I საკითხი

მაქსიმ იავიჩი - II, III საკითხი

მარინე ხიზანიშვილი - II, III საკითხი

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ამავე მუხლის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის დავალებით, სხდომის მდივნის ფუნქციების შესრულება დაევალა საბჭოს წევრს, ციური დურულს. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო, "მუსიკოლოგიის (ქართული ტრადიციული მუსიკა)" სამაგისტრო და "ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ შემსრულებლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო, "მუსიკოლოგიის (ქართული ტრადიციული მუსიკა)" სამაგისტრო და "ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ შემსრულებლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგემური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

I საკითხი: ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო, "მუსიკოლოგიის (ქართული ტრადიციული მუსიკა)" სამაგისტრო და "ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ შემსრულებლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - „ქართული ტრადიციული მუსიკა“

საფეხური - ბაკალავრიატი

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში (ლოტბარი/რეგენტი)

დეტალური სფეროს კოდი - 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - "მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა)"

საფეხური - მაგისტრატურა

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - 1. სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში;
2. სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი საეკლესიო მუსიკაში

დეტალური სფეროს კოდი - 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - „ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი“

საფეხური - მაგისტრატურა

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში (ლოტბარი/რეგენტი)

დეტალური სფეროს კოდი - 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვით აცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.

რადგან ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, საერთაშორისო ექსპერტი ჰელენ მაკვეი ვერ ესწრებოდა სხდომას, ცენტრის კოორდინატორმა ლაშა მაჭარაშვილმა წარმოადგინა ქართულად ნათარგმნი საერთაშორისო ექსპერტის მიერ გამოგზავნილი პოზიციის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის წერილის მიხედვით, შეფასებაში გამოიკვეთა პროგრამის მრავალი დადებითი მხარე, რაც შექების ღირსია. დაწესებულებას ესმის და აფასებს სფეროს მდიდარ კულტურულ კონტექსტს. ასევე დასაფასებელია თავდაჯერებული, შრომის ბაზრის სტანდარტებთან შესაბამისი აკადემიური პერსონალი, რომელსაც კარგი კვალიფიკაცია და კავშირები გააჩნია. დაწესებულება ღიაა ცვლილებებისკენ ტრადიციების პატივისცემასთან ერთად და შემუშავებული აქვს მიდგომა აკრედიტაციისთვის. რეკომენდაციები და რჩევები მოტივირებულია პროგრამის დახვეწასა და არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისკენ. დაწესებულებამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, რომ ყველა დეპარტამენტი შეჯერდეს უკვე აკრედიტებული პროგრამის განხორციელების შესახებ საერთო წარმოდგენებზე და განავითაროს კულტურა სტუდენტთა და აკადემიურ პერსონალთა მხარდასაჭერად. საერთო შეფასება შედგა ვიზიტის, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ გაზიარებული ინფორმაციის, დარგის აქტიურ შემსრულებელთა პოზიციების, ფოლკლორის ეროვნული ცენტრის პოზიციების გათვალისწინებით. დაინტერესებულ მხარეთა, მათ შორის, ინდუსტრიის წარმომადგენელთა შეფასება პოზიტიური აღმოჩნდა. ინდუსტრიის წარმომადგენელთა განცხადებით, დაწესებულება ინფორმირებულია შრომის ბაზრის არსებული მოთხოვნების შესახებ და ისინი პოზიტიურად არიან განწყობილნი პროგრამის კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობისადმი. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შთაბეჭდილებები პროგრამასა და დაწესებულებასთან დაკავშირებით პოზიტიურია, რაც გამოვლენილია მათ მიღწევებში. დაწესებულებამ უზრუნველყო პერსონალისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა დოკუმენტაციის მომზადებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელთა განცხადებით, პროგრამა გამართულია, პერსონალი მაღალი კვალიფიკაციის მქონეა და ისინი მზად არიან განაგრძონ მუშაობა აკრედიტებულ ფორმატში. ასევე ხაზი გაესვა იმ ფაქტორსაც, რომ პროგრამას ავტორიზაციის ეტაპიდან აკრედიტაციის ეტაპზე გადასვლა მალევე მოუწია, პერსონალმა იცოდა, რომ სჭირდებოდათ მეტი განვითარება და გადამზადება, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულიყო. შესაბამისად, პროგრამა მზად არის წინსვლისთვის, რომ განაგრძოს ამ სფეროში მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა თამარ ჩხეიძემ მაღლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის და დაწესებულების მიერ პროგრამაში ჩადებული ძალისხმევის დაფასებისთვის. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყოველი რჩევა და რეკომენდაცია დაწესებულებისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო და სწორედ ამის ხარჯზე მოხდა სტატუსის ასეთი სწრაფი ცვლილებაც. აქვე აღინიშნა, რომ დაწესებულებამ არგუმენტაციაში ასახა რეალური მიზეზები, თუ რატომ ვერ მოხდა ზოგიერთი რეკომენდაციის შესრულება, რაც გათვალისწინებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ და გამოჩნდა საბოლოო დასკვნაშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დიანა მჭედლიშვილის შეკითხვა შეეხო დასკვნაში არსებულ შეფასებებს, კერძოდ, იმ სტანდარტებთან მიმართებით, რომლებიც შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში. საბჭო დაინტერესდა ამ შეფასების მიზეზით.

ექსპერტი ირმა ქურდაძის განმარტებით, არსებული წარმოდგენს ხარვეზს დასკვნაში და რეკომენდაციები შესრულებულია სტანდარტთან სრული შესაბამისობით.

ამ საკითხთან დაკავშირებით გაკეთდა კომენტარი დაწესებულების წარმომადგენლის მიერ მესამე სტანდარტის შესახებ. დაწესებულებას სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა არ ჰქონდა ამოქმედებული და სწორედ ამას შეეხო რეკომენდაცია. მიმდინარედ, სისტემასთან წვდომა აქვთ აკადემიურ პერსონალსაც და სტუდენტებსაც.

საბჭოს წევრის ვასილ კიკუტაძის შეკითხვა მიემართებოდა ექსპერტთა ჯგუფს. ხუთ რეკომენდაციასთან დაკავშირებულ არგუმენტაციას ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა. რადგანაც, არგუმენტაციაში არ ჩანდა ახლად აღმოჩენილი გარემოებები, საბჭოსთვის გაუგებარია, საერთოდ რატომ გახდა საჭირო ამ რეკომენდაციების გაცემა. მომდევნო შეკითხვა მიემართებოდა დაწესებულებას, რომელიც შეეხო პლაგიატს. საბჭო დაინტერესდა, დაწესებულება თუ არა პლაგიატის მინიმალური ზღვარი. ექსპერტის განმარტებით, რადგანაც პროგრამა ახალია და სფერო გამოირჩევა სპეციფიკით, მის მიმართ რეკომენდაციების გაცემაც ვერ მოხდებოდა სტანდარტულად. ამ ფაქტორიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა არგუმენტაციაში აღწერილი დაწესებულების პოზიცია და რეკომენდაციებს მიეცა რჩევის სახე.

ვასილ კიკუტაძემ დამაზუსტებელი შეკითხვა დაუსვა ექსპერტთა ჯგუფს, იყო თუ არა გათვალისწინებული რუბრიკები სილაბუსებში. ექსპერტის განმარტებით, სილაბუსებში რუბრიკები დეტალურად იყო გაწერილი. არგუმენტირებული პოზიციის გაცნობამდე, ექსპერტთა ჯგუფში არსებობდა მოსაზრება, რომ სწავლების მეთოდები უფრო მრავალფეროვნად უნდა გაწერილიყო, მაგრამ, არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა შეიცვალა პოზიცია. რეკომენდაცია აისახა რჩევის სახით, რადგან დროთა განმავლობაში მომხდარიყო აღნიშნული მცირე ხარვეზის აღმოფხვრა და სილაბუსების დახვეწა. რადგანაც, დაწესებულებას მოუწევს სხვა შემოწმებების გავლაც, არსებული სიტუაციის კონტროლი მოხერხდება დროთა განმავლობაში.

დაწესებულების მიმართ პლაგიატის შესახებ კითხვას უპასუხა წარმომადგენელმა ქრისტინე ჩიხლაძემ. მან აღნიშნა, რომ პროცენტულობა მკაცრად არაა განსაზღვრული. რადგანაც პროგრამა ადგენს დამთხვევას, დაწესებულების მიდგომის მიხედვით, ნაშრომის შემოწმებელს ექნება საშუალება განსაზღვროს, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს კონკრეტული ნაშრომი პლაგიატად.

საბჭოს წევრი ციური დურულის კითხვა მიემართებოდა ორივე მხარეს. შეკითხვა შეეხო საკონტაქტო საათებს, რომელიც ერთი და იგივე კრედიტების რაოდენობის შემთხვევაში ერთნაირია. საბჭო დაინტერესდა, რამდენად შესაბამისია აღნიშნული საათების რაოდენობა თითოეული კურსისთვის. ექსპერტის განმარტებით, ექსპერტების მიერ იმავე კითხვა დაისვა დაწესებულების მიმართ და ამ საკითხზეც სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე ექსპერტებმა გაითვალისწინეს დაწესებულების პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საკონტაქტო საათების რაოდენობა განსხვავებულია პრაქტიკული და თეორიული კურსების მიხედვით. კურსის შემთხვევაში მისი

სპეციფიკიდან გამომდინარე საათებიც ასევე განსხვავებულია. ძირითადი ერთნაირი საათების რაოდენობა აქვს შემოქმედებითი უნარების განვითარებულ კურსებს, რადგან ერთგვაროვანი სწავლების მეთოდები აქვთ.

საბჭოს წევრი გიორგი დალანიძის შეკითხვა მიემართებოდა ექსპერტებს. რადგანაც რამდენჯერმე აღინიშნა, რომ დარგს აქვს სპეციფიკა, საბჭო დაინტერესდა, თუ რას გულისხმობს ექსპერტთა ჯგუფი ამ სპეციფიკაში.

ექსპერტის განმარტებით, სპეციფიკას პირველ რიგში განაპირობებს ის, რომ საქმე გვაქვს ხელოვნებასთან, მითუმეტეს, გალობასთან. სტუდენტთა რაოდენობა მთელ უნივერსიტეტში არის 31, რაც ნიშნავს იმას, რომ პროგრამა და კურსები ინდივიდუალურად ერგება სტუდენტს, სწორედ ეს წარმოადგენს დაწესებულების სპეციფიკურობას, რაც განასხვავებს მას სხვა უნივერსიტეტებისგან, სადაც ათასობით სტუდენტი სწავლობს.

ექსპერტის განმარტებით, ეს განაპირობებს ამ სასწავლო უნივერსიტეტის უნიკალურობას. დარგის ექსპერტის განმარტებით, ერთიანი საუნივერსიტეტო საზოგადოებაა, რომელიც აერთიანებს სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, მომავალ სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს. ვიზიტმა ცხადყო ის, რომ არსებული პროგრამა და მიდგომები მუშაობს ასეთ სივრცეში. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო დარგს ქართული მუსიკა და გალობა წარმოადგენს, რაც კიდევ უფრო უნიკალურს ხდის სასწავლო უნივერსიტეტს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:37

დასრულების დრო: 14:53

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი შემდეგი კლასტერის ვადით (31/12/2030).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ ა(ა)იპ - გიორგი

მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია შემდეგი კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე.

რჩევები:

1. განიხილეთ სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის გზები, რომ მათთვის უფრო ნათელი გახდეს პროგრამის ფუნქციონირებისა და აკადემიური მოთხოვნები - მაგალითად, შეიმუშავეთ და დანერგეთ სტუდენტური პორტალი (სადაც სასწავლო კურსების შესახებ ისეთი დეტალური ინფორმაცია იქნება მოცემული, როგორცაა: გამოცდის თარიღები, გამოცდის შედეგები, შეფასებები, სილაბუსები, ცხრილები, საკონსულტაციო საათები).
2. გამოიყენოთ თანმიმდევრული ენა პროგრამის დოკუმენტში მოცემულ სათაურებში (მიზანი და/ან ამოცანა) (aim/objective and/or goal)
3. სტუდენტებისთვის დააზუსტეთ თუ რა განსხვავებაა შესაფასებელ დავალებასა და მასთან დაკავშირებულ სწავლის შედეგს შორის.
4. პრაქტიკული კურსების სილაბუსებში, სასურველია განახლდეს და დაემატოს სწავლა-სწავლების მეთოდები.
5. სასურველია, სწავლების მეთოდების ხელშეწყობისთვის დაემატოს ელექტრონული სწავლების პლატფორმა.
6. სასურველია, რომ სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსები ითვალისწინებდეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რომლის მიღწევაც შესაძლებელია კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. კურსის სილაბუსებში, შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაცია უფრო კონკრეტულად უნდა იყოს მოცემული.
7. უზრუნველყავით პოლიტიკის უწყვეტი განვითარება სტუდენტისთვის გასაგებ ენაზე.
8. შეაფასეთ ინგლისური ენის მიწოდების ეფექტურობა, პროგრამის მიზნების მხარდასაჭერად.
9. უზრუნველყავით პლაგიატის გამოვლენის ინსტრუმენტის წარმატებით განხორციელება.
10. სასურველია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰქონდეს კლასტერში შემავალი პროგრამების მსგავს პროგრამებთან შედარების („ბენჩმარკინგის“) დოკუმენტი, თავის ანალიზთან ერთად, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საშუალებას მისცემს უფრო ნათლად გამოავლინოს ახალი ტენდენციები და მიდგომები ამ სფეროში.
11. სასურველია, ისწრაფოდეთ უფრო მეტად ყოვლისმომცველი გარე შეფასების მიღებისკენ, რათა უზრუნველყოთ პროგრამის შინაარსისა და განხორციელების კრიტიკული მხარდაჭერა და საუკეთესო პრაქტიკასთან შედარება.
12. შეიმუშავეთ დოკუმენტაცია და სისტემური მიდგომები, რომ მხარი დაუჭიროთ ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის გაუმჯობესებას; მაგალითად, გაწერეთ მკაფიო პროცესი პერიოდული შეფასებისთვის;
13. პროგრამის გუნდმა და სასწავლო პერსონალმა უნდა ითანამშრომლოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან, რათა ჩამოუყალიბდეთ აკრედიტებული პროგრამის მიწოდების მოთხოვნების საკუთარი აღქმა, ხარისხის კულტურის დანერგვით, რომელიც ხელს უწყობს როგორც სტუდენტთა, ასევე პერსონალის სამუშაოს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის "მუსიკოლოგიის (ქართული ტრადიციული მუსიკა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი შემდეგი კლასტერის ვადით (31/12/2030).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის "მუსიკოლოგიის (ქართული ტრადიციული მუსიკა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია შემდეგი კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე.

რჩევები:

1. განიხილეთ სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის გზები, რომ მათთვის უფრო ნათელი გახდეს პროგრამის ფუნქციონირებისა და აკადემიური მოთხოვნები - მაგალითად, შეიმუშავეთ და დანერგეთ სტუდენტური პორტალი (სადაც სასწავლო კურსების შესახებ ისეთი დეტალური ინფორმაცია იქნება მოცემული, როგორცაა: გამოცდის თარიღები, გამოცდის შედეგები, შეფასებები, სილაბუსები, ცხრილები, საკონსულტაციო საათები).
2. გამოიყენოთ თანმიმდევრული ენა პროგრამის დოკუმენტში მოცემულ სათაურებში (მიზანი და/ან ამოცანა) (aim/objective and/or goal)
3. სტუდენტებისთვის დააზუსტეთ თუ რა განსხვავებაა შესაფასებელ დავალებასა და მასთან დაკავშირებულ სწავლის შედეგს შორის.
4. პრაქტიკული კურსების სილაბუსებში, სასურველია განახლდეს და დაემატოს სწავლა-სწავლების მეთოდები.
5. სასურველია, სწავლების მეთოდების ხელშეწყობისთვის დაემატოს ელექტრონული სწავლების პლატფორმა.
6. სასურველია, რომ სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსები ითვალისწინებდეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რომლის მიღწევაც შესაძლებელია კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. კურსის სილაბუსებში, შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაცია უფრო კონკრეტულად უნდა იყოს მოცემული.
7. უზრუნველყავით პოლიტიკის უწყვეტი განვითარება სტუდენტისთვის გასაგებ ენაზე.
8. შეაფასეთ ინგლისური ენის მიწოდების ეფექტურობა, პროგრამის მიზნების მხარდასაჭერად.
9. უზრუნველყავით პლაგიატის გამოვლენის ინსტრუმენტის წარმატებით განხორციელება.
10. სასურველია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰქონდეს კლასტერში შემავალი პროგრამების მსგავს პროგრამებთან შედარების („ბენჩმარკინგის“) დოკუმენტი, თავის ანალიზთან ერთად, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საშუალებას მისცემს უფრო ნათლად გამოავლინოს ახალი ტენდენციები და მიდგომები ამ სფეროში.

11. სასურველია, ისწრაფოდეთ უფრო მეტად ყოვლისმომცველი გარე შეფასების მიღებისკენ, რათა უზრუნველყოთ პროგრამის შინაარსისა და განხორციელების კრიტიკული მხარდაჭერა და საუკეთესო პრაქტიკასთან შედარება.

12. შეიმუშავეთ დოკუმენტაცია და სისტემური მიდგომები, რომ მხარი დაუჭიროთ ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის გაუმჯობესებას; მაგალითად, გაწერეთ მკაფიო პროცესი პერიოდული შეფასებისთვის

13. პროგრამის გუნდმა და სასწავლო პერსონალმა უნდა ითანამშრომლოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან, რათა ჩამოუყალიბდეთ აკრედიტებული პროგრამის მიწოდების მოთხოვნების საკუთარი აღქმა, ხარისხის კულტურის დანერგვით, რომელიც ხელს უწყობს როგორც სტუდენტთა, ასევე პერსონალის სამუშაოს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი შემდეგი კლასტერის ვადით (31/12/2030).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია შემდეგი კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე.

რჩევები:

1. განიხილეთ სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის გზები, რომ მათთვის უფრო ნათელი გახდეს პროგრამის ფუნქციონირებისა და აკადემიური მოთხოვნები - მაგალითად, შეიმუშავეთ და დანერგეთ სტუდენტური პორტალი (სადაც სასწავლო კურსების შესახებ ისეთი დეტალური ინფორმაცია იქნება მოცემული, როგორცაა: გამოცდის თარიღები, გამოცდის შედეგები, შეფასებები, სილაბუსები, ცხრილები, საკონსულტაციო საათები).

2. გამოიყენოთ თანმიმდევრული ენა პროგრამის დოკუმენტში მოცემულ სათაურებში (მიზანი და/ან ამოცანა) (aim/objective and/or goal)

3. სტუდენტებისთვის დააზუსტეთ თუ რა განსხვავებაა შესაფასებელ დავალებასა და მასთან დაკავშირებულ სწავლის შედეგს შორის.

4. პრაქტიკული კურსების სილაბუსებში, სასურველია განახლდეს და დაემატოს სწავლა-სწავლების მეთოდები.
5. სასურველია, სწავლების მეთოდების ხელშეწყობისთვის დაემატოს ელექტრონული სწავლების პლატფორმა.
6. სასურველია, რომ სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსები ითვალისწინებდეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რომლის მიღწევაც შესაძლებელია კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. კურსის სილაბუსებში, შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაცია უფრო კონკრეტულად უნდა იყოს მოცემული.
7. უზრუნველყავით პოლიტიკის უწყვეტი განვითარება სტუდენტისთვის გასაგებ ენაზე.
8. შეაფასეთ ინგლისური ენის მიწოდების ეფექტურობა, პროგრამის მიზნების მხარდასაჭერად.
9. უზრუნველყავით პლაგიატის გამოვლენის ინსტრუმენტის წარმატებით განხორციელება.
10. სასურველია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰქონდეს კლასტერში შემავალი პროგრამების მსგავს პროგრამებთან შედარების („ბენჩმარკინგის“) დოკუმენტი, თავის ანალიზთან ერთად, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საშუალებას მისცემს უფრო ნათლად გამოავლინოს ახალი ტენდენციები და მიდგომები ამ სფეროში.
11. სასურველია, ისწრაფოდეთ უფრო მეტად ყოვლისმომცველი გარე შეფასების მიღებისკენ, რათა უზრუნველყოთ პროგრამის შინაარსისა და განხორციელების კრიტიკული მხარდაჭერა და საუკეთესო პრაქტიკასთან შედარება.
12. შეიმუშავეთ დოკუმენტაცია და სისტემური მიდგომები, რომ მხარი დაუჭიროთ ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის გაუმჯობესებას; მაგალითად, გაწერეთ მკაფიო პროცესი პერიოდული შეფასებისთვის
13. პროგრამის გუნდმა და სასწავლო პერსონალმა უნდა ითანამშრომლოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან, რათა ჩამოუყალიბდეთ აკრედიტებული პროგრამის მიწოდების მოთხოვნების საკუთარი აღქმა, ხარისხის კულტურის დანერგვით, რომელიც ხელს უწყობს როგორც სტუდენტთა, ასევე პერსონალის სამუშაოს.

მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ინფორმატიკა

საფეხური - მაგისტრატურა

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ინფორმატიკის მაგისტრი

დეტალური სფეროს კოდი - 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი.

თვითაცილება განაცხადეს: თამარ ლომინაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

იქიდან გამომდინარე რომ საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა თვითაცილება განსახილველ საკითხთან მიმართებით, სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა თუთბერიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებული პოზიციას და დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.**

ექსპერტმა აღნიშნა, რომ გაიცა ორი რეკომენდაცია. ორივე მათგანი გათვალისწინებული იქნა დაწესებულების მიერ და შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ ორივე რეკომენდაცია შესრულდა დაწესებულების მიერ. გარდა ამისა ხაზი გაესვა რჩევებს, რომელიც ასევე ზედმიწევნით შესრულდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:55

დასრულების დრო: 15:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არააგემიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

„ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ინფორმატიკა

საფეხური - დოქტორანტურა

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ინფორმატიკის დოქტორი

დეტალური სფეროს კოდი - 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი. თვითაცილება განაცხადეს: თამარ ლომინაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

იქიდან გამომდინარე რომ საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა თვითაცილება განსახილველ საკითხთან მიმართებით, სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა თავმჯდომარის მოადგილე გოჩა თუთბერიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.

ექსპერტმა წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. მისი განმარტებით, გაიცა ორი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაციის მიხედვით, ძირითად სასწავლო კურსს, „კვლევის მეთოდები ინფორმატიკაში“ უნდა შეცვლოდა სახელწოდება და პროგრამას უნდა დამატებოდა შესაბამისი შინაარსის, კვლევის მეთოდების შემსწავლელი საგანი. დაწესებულებამ შეასრულა რეკომენდაცია, სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები ინფორმატიკაში“ წარმოდგენილია, მისი სილაბუსიც ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა და კურსი სტანდარტებს შეესაბამება. პროგრამას დაემატა არჩევითი კურსი „ოპერაციათა კვლევის მოდელები და მეთოდები“, რომელიც ასევე შეესაბამება სტანდარტებს. შესაბამისად, პირველი რეკომენდაცია შესრულებულია დაწესებულების მიერ. მეორე რეკომენდაციის მიხედვით, საჭირო იყო დოკუმენტაციის მოწესრიგება და დაზუსტდეს კონკრეტული კურსების განმახორციელებელი

პერსონალის სილაბუსში გაწერა. დაწესებულებამ წარმოადგინა დეტალური დოკუმენტაცია და მეორე რეკომენდაციაც შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ორივე რეკომენდაცია შესრულდა დაწესებულების მიერ. მან აღნიშნა, რომ პროგრამა საკმაოდ წარმატებულია. ხაზი გაესვა იმას, რომ რეკომენდაციები გამოწვეული არ ყოფილა აკადემიური პერსონალის ნაკლებობით, მიზეზი იყო კვლევისა და ხელმძღვანელობის ნაწილში სიზუსტის შეტანა. პროგრამა ყოველმხრივ წარმატებულია, გამოირჩევა სხვადასხვა საფეხურის სტუდენტთა მჭიდრო კომუნიკაციით. დაწესებულება დებს ძალისხმევას მკვლევრების საქმიანობის განხორციელებისთვის და ხელს უწყობს სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა დიანა მქედლიშვილმა შეკითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი კითხვა შეეხო ერთ-ერთ რჩევას. დაწესებულებას არ ჰქონდა გაწერილი სასწავლო კურსებისა და შედეგების რუკაში შედეგების მიღწევის დონეები. საბჭო დაინტერესდა ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული სიტუაციით და რა გეგმა აქვს დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სასწავლო კომპონენტები წარმოდგენილია მხარდამჭერ კომპონენტებად. შესაბამისად, სასწავლო კურსები წარმოდგენილია გაღრმავების ნაწილში, ხოლო განმტკიცების ნაწილში, უშუალოდ ნაშრომია გათვალისწინებული. ასეთივე მიდგომა აქვს დაწესებულებას ყველა სადოქტორო პროგრამაზე. სწავლების შედეგები დასტურდება კვლევითი კომპონენტების ეტაპებით: კოლოკვიუმებით და წინასწარი დაცვით. რადგანაც დარგი მრავალფეროვანია, ერთი მკვლევრის საქმიანობა მეორისგან განსხვავებულია, შესაბამისად, დოქტორანტს და მის ხელმძღვანელს, კვლევითი კომპონენტის დაწყებამდე, ევალუბრება შემუშავდეს გეგმა უშუალოდ იმ დოქტორანტის საკვლევი საქმიანობებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, საქმიანობის შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ღონისძიებებიც. ეს ყოველივე იფარება მეორე დონეზე.

საბჭოს წევრის, ციური დურულის შეკითხვა შეეხო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. ის დაინტერესდა, ეკონომიკაში აკადემიური ხარისხის მქონე კანდიდატთა მიღების მიზეზით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ეკონომისტთა საქმიანობაში ინფორმატიკის გამოყენება ხშირი პრაქტიკაა, სწორედ ამიტომ ეს ორი სფერო ერთმანეთთან იკვეთება. გარდა ეკონომიკისა, ინფორმატიკის გამოყენება მრავალ დარგშია შესაძლებელი. წინაპირობებში გაწერილი კვალიფიკაციების მქონე სტუდენტებისთვის პროგრამა მარტივად დამლევადია. მიუხედავად ამისა, პროგრამა პირველი ორი სემესტრის განმავლობაში იძლევა საშუალებას, სტუდენტებმა მიიღონ ის ბაზისური ცოდნა, რაც ხარისხის მიღებისთვის აუცილებელია. რადგანაც ინფორმატიკა მრავალ დარგში გამოიყენება, დაწესებულების მოსაზრებით არსებული ჩამონათვლის გაზრდაც კია შესაძლებელი. პროგრამა იღებს ისეთ კანდიდატებს, რომლებსაც გააჩნიათ ინფორმატიკის სფეროსადმი დაინტერესება ან სურვილი წინა პროფესიაში ინფორმატიკის გამოყენებისა. რა თქმა უნდა, ყველა ეკონომისტი ვერ იქნება განსწავლული ინფორმატიკაში, მაგრამ კანდიდატთა ფილტრაცია სხვა ეტაპებზეც ხდება, სადაც აირჩევა ისეთი კანდიდატები, რომლებიც საკუთარ ნაშრომს ბოლომდე მიიყვანენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:15

დასრულების დრო: 15:25

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგვემყოფი მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგვემყოფი მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს სხდომა დასრულდა 15:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

